



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დადგენილება № 67

26 ნოემბერი 2018 წ.

ქ. თელავი

„თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 07 დადგენილებაში ცვლილების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 313-ე მუხლის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №07 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/01/2018, 010250050.35.163.016385).

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №07 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების მიერ მკაცრი აღრიცხვის ფორმის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) გამოყენებისა და მისი აღრიცხვა - წარმოების უზრუნველყოფა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209^ა მუხლით გათვალისწინებულ იმ სამართალდარღვევებზე, რომლებზეც რეაგირებაც განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს კომპეტენციას“.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე